

Share

0

More

Next Blog»

Create Blog Sign In

# სამხრეთის კარიბჭე

მთავარი	ვინ ვართ ჩვენ	ავტორები	ფინანსური მხარდამჭერები	სასარგებლო ბმულები	კონტაქტი
---------	---------------	----------	-------------------------	--------------------	----------

## რად გვიღირს ელექტროენერჯის გაყიდვა?

ჰესები სამცხე-ჯავახეთში



ეს ადგილები წყლით დაიფარება.





სამცხე-ჯავახეთში **10**-ზე მეტი ჰიდრო-ელექტრო სადგურის აშენება იგეგმება. ემუქრება თუ არა განადგურების საფრთხე **40**-მდე ისტორიულ ძეგლს; რა ეკოლოგიური კატასტროფების საშიშროება ჩნდება და რამდენად უღირს სახელმწიფოს ამ პროექტების განხორციელება.

ენერჯეტიკის სამინისტრომ ქვეყანაში ენერჯეტიკული პოტენციალის შესწავლის მიზნით, ავსტრიული საკონსულტაციო კომპანია „პოარი“ დაიქირავა. სწორედ ამ უკანასკნელმა შეისწავლა სამცხე-ჯავახეთში ის ადგილები, სადაც, სამომავლოდ, კასკადები და რეზერვუარები გაკეთდება.

### ძებნა საიტზე

### სიახლეების გამოწერა

-  Posts 
-  Comments 

### რუბრიკები

- ანონსი (11)
- ახალი წელი (1)
- განათლება (157)
- ეკონომიკა (3)
- ეკონომიკა (149)
- კულტურა (35)
- ნიუსები (12)
- პოლიტიკა (138)
- რეგიონი (100)
- რეკლამა (5)
- რელიგია (6)
- რეპორტაჟი (8)
- საავტორო სვეტი (12)
- საახალწლო ნომრის

## რა იგეგმება

ჯავახეთში სოფელ არკალთან და ოროჯალართან 108 მეგავატიანი ჰესი - `არაკალი- აშენდება; 20 მეგავატიანი `აბული- სოფელ ბავრასთან აიგება. ჯავახეთშივე იქნება 12,8 მეგავატი სიმძლავრის `ტაბაწყურიც-. ახალქალაქში კორხის ხიდან 14,6 მეგავატიანი ჰესის - ,,ახალქალაქი” -გაკეთება იგეგმება. ასპინძა-ახალქალაქის მიმართულებით იგეგმება ჰესების - ,,საყუნეთი” - 10,4 მეგავატი, ,,აწყური” - 10,4 მეგავატი, ,,დვირი”- 10,4 მეგავატი, ,,ფარავანი” - 85,4 მეგავატი - აშენდება. ახალციხიდან ერთ კილომეტრში კი ,,მტკვარი ჰესის” მშენებლობა, რომლის სიმძლავრეც 46,2 მეგავატი უნდა შეადგენოს, უკვე დაწყებულია.

ერთ-ერთი დიდი კასკადის აშენება მტკვრის ზედა ნაწილში იგეგმება. ეს უკანასკნელი ორ რეზერვუართან ერთად სამი დიდი კაშხლის აგებას გულისხმობს: ,,ნიალა” 90/82 მეგავატი ნიალას ველზე; ,,ხერთვისი” 81,6 მეგავატი სოფელ ტოლოშსა და ხერთვისთან ახლოს; ,,ასპინძა” 55, 2 მეგავატი სოფელ რუსთავის მიმდებარე ტერიტორიებზე. პროექტის ღირებულება 604,4 მილიონი დოლარია.

მიმდინარე წლის 29 აპრილს ენერჯეტიკის სამინისტრომ ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული თურქული კომპანია ,,ენერჯისა” გამოავლინა.

ეს უკანასკნელი სანამ მშენებლობაზე განაცხადების შეტანა გამოცხადდება, პოტენციალს საკუთარი ექსპერტებით უკვე სწავლობს.

,,ნიალას ველზე მტკვარს ამოქაჩავენ, დააგუბებენ და ხერთვისთან ექნება დაცემა”,- გვიხსნის არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მწვანე ალტერნატივას” პროგრამების კოორდინატორი დავით ჭიპაშვილი.

## ნიალას ველი

დავით ჭიპაშვილის განცხადებით კომპანია `პოარიმ- ენერჯეტიკის სამინისტროს ნიალას ველის დაგუბების შესახებ რეკომენდაცია იმიტომ მისცა, რომ ეს ადგილები დაუსახლებელია და ამდენად, პროექტის განხორციელება შედარებით ნაკლები დაჯდება.

,,ნიალას ველის დატბორვის შესახებ გუშინწინ გამგეობაში თქვეს, ზღაპარი მეგონა!” - გაცემას ვერ ფარავს 46 წლის რობერტ ზაქაიძე, რომლის მშობლებიც ნიალას ველზე საცხოვრებლად სოფელ ორგორიდან ოჯახის რჩენის მიზნით წავიდნენ. აქ ზაქაიძეები მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. თავად კი ველზე მხოლოდ ზაფხულობით ამოდის, ზამთარში პირუტყვის გამოსაკვებად ბარში თივა უნდა ჩაიტანოს - ,,სადოვრების დიდი ნაწილი წაგვართვეს და ახლა მთავრობას აქ წყლის დაგუბება თუ უნდა, გააკეთებს, ჩვენ ვინ გვეკითხება?!”

ყარაბულაღი, ფანაქეთი, ნიალა, აგარა, გავეთი ეს მცირე ჩამონათვალია იმ სოფლებისა, რომლებიც ზღვის დონიდან 1 826 მეტრზე ალპურ ზონაში მდებარეობენ. აქ ყველაზე პატარა სოფელში ორი-სამი, ყველაზე დიდში კი 12-15 კომლი ცხოვრობს. ზოგიერთი დასახლება მხოლოდ ზაფხულობით ივსება ბარიდან ამოსული გლეხებით. ურავლესობას კი მუდმივად აქ დაუღია ბინა - ზაქაიძეების მსგავსად მიწათმოქმედებასა და

- კურიოზები (3)
- საზოგადოება (124)
- სამართალი (28)
- სამშენებლო (1)
- სკოლა (1)
- სპორტი (23)
- უფლება გაქვს იცოდე (4)
- ფოტობრალდება (1)
- ფოტორეპორტაჟი (7)
- ჩვენი ფილმები (8)
- ჯანდაცვა (80)

## არქივი

- ▶ 2012 (32)
- ▶ 2011 (339)
- ▼ 2010 (491)
  - ▶ December (45)
  - ▶ November (48)
  - ▶ October (51)
  - ▼ September (35)

ეკლესია ჯვრის გარეშე

მოსამართლეებზე  
ზეწოლის საფრთხე

ვალდებულება და  
რეალობა

უნივერსიტეტში  
ახალი საწავლო  
წელი დაიწყო

ინგლისური ენის  
არცოდნა  
დიპლომზე აისახება

სახელმძღვანელოების  
ფასი ყოველ წელს  
მატულობს

სოფლები ექიმების  
გარეშე

ყაზახეთის

მესაქონლეობას მისდევენ.

„ჩემი მშობლები აქ ცხოვრობდნენ და აქვე დავასაფლავეთ. მეც 60 ჰექტარი ნაკვეთი მაქვს და ვამუშავებ“, - გვიამბობს ნიალაში მცხოვრები 44 წლის შმაგი წამალაიძე.

წამალაიძეებს სამი შვილი ჰყავთ, უროსი 10-ის უმცროსი კი 3 წლისაა.

„სწავლის პერიოდში ბავშვები ასპინძაში, მამიდასთან არიან, იქ დადიან სკოლაში, ჩვენ აქედან ვეხმარებით“, - ამბობს შმაგი წამალაიძის მეუღლე მაყვალა პაპაშვილი.

ხუთსულიან ოჯახს 20 ძროხა და ათი ცხვარი ჰყავს.

„აქ ზოგს 70-80 სული საქონელი ჰყავს. არაა იოლი მთაში ცხოვრება, რვა თვე ზამთარია, მაგრამ აქ უარესს გამოვექეცით. აქაურობის დატოვება არაფრის ფასად არ მიღირს! სამი შვილი მეზრდება, მომცენ ლტოლვილის სტატუსი და გამასახლონ მაშინ“, - აცხადებს შმაგი წამალაიძე.

ნიალას ველზე მცხოვრებლები აცხადებენ, რომ იმ თანხით, რაც კომპენსაციით შეიძლება მიიღონ, ღირებულს ვერაფერს იყიდნიან.

„სანამ ველის დაგუბებას გადაწყვეტდნენ, იკითხა ვინმემ აქ ხალხი ცხოვრობდა თუ არა?! ან ჩვენ გვითხრა ვინმემ რამე?“ - კითხულობს ბიძინა ოზგაიძე.

მისი თქმით, ველზე მიწების დიდი ნაწილი გარემოსდაცვის მინისტრს გოგა ხაჩიძეს და სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულს ლაშა ჭკადუას ეკუთვნის, აქვეა საპატრიარქოს საძოვრებიც: „საპატრიარქოს რვა ათასი ცხვარი ჰყავს და ოთხი ბინა უდგას“.

ობგაიძის განცხადებით, იქ სადაც წყალი უნდა დაგუბდეს ხაჩიძეს 400 ჰექტარი აქვს შეძენილი: „ჩვენ ვის რაში ვადარდებთ?! თვითონ აიღებენ დიდ თანხას და ჩვენ კიდევ მილიონებს არავინ მოგვცემს. ბარში ცხოვრება რომ შეგვძლებოდა, საწვალეზლად აქ არ წამოვიდოდით. რვა თვე ზამთარს ვუძლებთ, ცალკე უწყლობა გვტანჯავს, ერთი ჭიქა წყლის გავსებას ხუთი წუთი მაინც უნდა“.

მოსახლეობა ბარში

ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებით ისე როგორც მთაში, არც ბარში არაფერი იცინა, თუმცა აქ ნიალას ველზე მცხოვრებლებთან შეადრებით განსხვავებული განწყობა აქვთ.

„შეიძლება ეკოლოგიურად არასასურველი და საშიშია, მაგრამ ხალხი იმდენად დაუსაქმებელია რომ აღარაფერს დაეძებს“, - ამბობს ხერთვისელი - მარინა ციხელაშვილი.

პროექტის განხორციელების მომხრეა ტოლოშელი 64 წლის გიორგი ბირჩაძე: „აღარ ვიციდით სხვისგან დენს

მიტროპოლიტი  
ალექსანდრე  
ბორჯომში

ახალქალაქში  
დახურული აუზი  
შენდება

სურბ ხაჩის ეკლესია  
განახლდა

დამსაქმებლის ნებაზე  
მოწყობილი კანონი

ხანძარი რეგიონში

სოფლის პროდუქტები  
ქუჩაში

კურორტი მიუვალი  
გზებით

ცვლილებები  
განათლების  
სისტემაში

სკოლა დაიწყო

რეფორმით ბევრი  
მასწავლებელი  
უკმაყოფილოა

ცარიელი  
სავადმყოფო

მოზილური  
ტელეფონები  
დუმილისთვის

მგლები სოფელში

საკონსტიტუციო  
რეფორმა

რძის საწარმოები  
ქალაქში

გადასახადი -  
დანახარჯის  
მიხედვით

სკოლების შეერთებით  
უკმაყოფილო  
პედაგოგები

ახალი სტრატეგია -  
საბუნებისმეტყველ  
ო მეცნიერებები

ზაფხულის

და აქვე გვექნება ჰესი. ჩვენი ტერიტორიაა და დენსაც ჩვენ მოგვახმარენ. რომც გაყიდონ იმდენი მარაგი მაინც დაგვრჩება, რომ ჩვენ გვეყოს. არანაირი ზიანი არ მიადგება არაფერს. ვენაცვალე სააკაშვილს, რომ ამდენ რამეს აშენებს!”.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში ტარიფის გათვალისწინებაზე საუბრობს ბირჩაძის მეზობელი 56 წლის ემზარ გვარამაძე: „თუ შეგვიპირდებიან რომ დენის გადასახადს გათვალისწინებენ მაშინ გააკეთონ”.

ეკონომიკური ღირებულება

ჰესებს სამცხე-ჯავახეთში არა სახელმწიფო, არამედ ინვესტორი აშენებს, ამდენად თავიდანვე პრივატიზებული იქნება.

„მიუღებელი პროექტია, პირველ რიგში იმიტომ, რომ დახარჯული თანხის შესაბამის სიმძლავრეს ვერ მიიღებენ. 213 მეგავატი არ არის ის სიმძლავრე, რომელშიც დაგეგმილი 600 მილიონი უნდა გადაიხადო. ამ სიმძლავრის მიღება მცირე ჰესებითაც შეიძლება, ნიალაზე წყლის დაგუბების გარეშე”, - აცხადებს დავით ჭიპაშვილი.

მისივე თქმით, პროექტში ფულს მართო ინვესტორი არ ჩადებს, მან სესხი უნდა აიღოს იბიარდისა (EBD) და მსოფლიო ბანკისგან, ასევე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან. ამდენად, ეს ტარიფზეც აისახება: „დენს თურქეთში გაიტანენ. პროექტში საინტერესო ფრაზა წერია, რომ თუ იგი საქართველოს შიდა მოხმარებისთვის იქნებოდა გათვალისწინებული, (თუმცა, არის რაღაც ნაწილი, რომელიც საქართველოში დარჩება,) მაშინ მის განხორციელებას აზრი არ ექნებოდა - თანხას უკან ვერ ამოიღებდნენ. თურქეთში კი გაცილებით მაღალია დენის ტარიფი, ვიდრე საქართველოში”

ისტორიული ძეგლები

ნიალას ველის გარშემო ათობით ისტორიული ძეგლია, აქვეა თმოგვის ციხე და ვარძიაც.

„პატარა რეგიონია და ამდენი ჰესების მშენებლობას აკუმულაციური ზემოქმედება ყველაფერზე ექნება. ერთი გუბურაც რომ გაკეთდეს ვარძიის თავზე, ვარძია დაინგრევა. წყალი ვარძიის ზემოთ ნიადაგში ჩაიჟონება”, - აცხადებს ჭიპაშვილი.

ადგილობრივი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია `მწვანე ჯვარის- თავმჯდომარის რამაზ კორშიას თქმით, კი ვარძიაში ქვების ცვენა დიდი ხანია დაწყებულია: „ნიალა თვითონ ძეგლია, მის ქვეშ ნამოსახლარი სოფლებია დამარხებული და ეს ყველაფერი ჯერ კიდევ შეუსწავლელია, ამდენად მისი ტბად გადაქცევა დაუშვებელია”..

ბერიძის განმარტებით ველზეა ნიალის ყორღანები, ასევე აჩხისა და ოლოდის ქვაბები. ნიალაშია გავეთისა და აგარის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრები, ასევე სამარხები ყაჩაღები და დუმეილა: „სულ პატარა რეზერვუარიც რომ გაკეთდეს, ეს ყველაფერი წყლით დაიფარება და განადგურდება. ნიალას წყლით დაფარვა კი ვარძიის ნგრევასაც გულისხმობს”.

დაავადებები

არაქართველი  
აბიტურიენტებისთვის  
ის დაწესებულმა  
შეღავათ...

„ნებადართული  
ლიტურგია”

რად გვიღირს  
ელექტროენერჯის  
გაყიდვა?

ბუნებრივი და  
ხელოვნური  
გამვირება

პატრიარქის  
ინიციატივა  
მათთვის, ვინც  
სტუდენტი ვერ გ...

ფრთხილად -  
ასპინძაში  
თურქულია

პედაგოგთა  
სერთიფიცირების  
არასახარბიელო  
შედეგი

ერთიანი ეროვნული  
გამოცდების  
შედეგები

პრობლემები სომხურ  
სკოლებში

- ▶ July (49)
- ▶ June (36)
- ▶ May (54)
- ▶ April (57)
- ▶ March (60)
- ▶ February (46)
- ▶ January (10)
- ▶ 2009 (62)

ბლოგები

ვარძის მუზეუმის ნაკრძალის დირექტორმა ვალოდია ზაზაძემ კულტურის სამინისტროში ნიკოლოზ ვაჩიშვილთან გადაგვამისამართა. მისი აზრით თუ სახლემწიფო გადაწყვეტს, რომ ნიალას ველზე წყალი დაგუბდეს და ჰესი აშენდეს, წინ ვერავინ აღუდგება: „აქ მორჩილი ხალხი ცხოვრობს, ამის წინააღმდეგ არავინ გამოვა“.

ეკოლოგიური საფრთხე

დავით ჭიპაშვილის განმარტებით, ადგილი, სადაც რეზერვუარის გაკეთება იგეგმება, სეისმურად საშიში ზონაა: „ცხრა ბალიანი მიწისძვრები იცის, აქ 86 მეტრიანი კაშხლის აშენება უნდათ, მიწისძვრის შემთხვევაში წყალი ხერთვისამდე ჩავა“.

სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატში ვარძის ველთან დაკავშირებით შესათანხმებლად ჯერ არანაინი დოკუმენტი არ მიუღიათ. ამგვარი დოკუმენტი, არც ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაუგზავნიან.

სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ლაშა ჭკადუას თქმით, თუ რეზერვუარი ისტორიულ ძეგლებს დააზიანებს, ენერგეტიკის სამინისტროში ამ საკითხის შეცვლა ალბათ დღის წესრიგში დადგება: „თავად სამცხე-ჯავახეთში არაფრის მფლობელი ვარ. რეზერვუარი თუ მართლა გაკეთდა ნიალაზე, ყველა მოსახლე კუთვნილ კომპენსაციას მიიღებს“.

ჰესები ადიგენის მუნიციპალიტეტშიც აშენდება.

„ჰესები სესხებით შენდება. ამ ფულს კი არ გვჩუქნიან, უკან უნდა დავაბრუნოთ. პროცენტები კი დენის ტარიფში პირდაპირ აისახება, რაც მეტ ჰესს ააშენებენ, დენის ტარიფი მით უფრო მეტად გაიზრდება“, - ამბობს დავით ჭიპაშვილი.

რამდენად გაიზრდება დენის ტარიფი, ან რამდენად გაითვალისწინებენ ისტორიული ძეგლების ნგრევის თუ ეკოლოგიური კატასტროფების საშიშროებას, მომავალი გვიჩვენებს, თუმცა, მანამდე დამაფიქრებელი კიდევ ერთი საკითხია - ჰესებიდან გამომუშავებული ელექტროენერჯია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გავლით ქვეყნის ფარგლებს გარეთ 500 კილოვატაანმა ელექტრო გადამცემმა ხაზმა უნდა გაიტანოს, თუმცა, ყველა ჰესის ამუშავების შემთხვევაში, რეალურად მასზე ენერჯის გადასატანად კვოტა აღარ დარჩება. თამუნა უჩიძე, ასპინძა

на Monday, September 06, 2010



Recommend this on Google

რუბრიკა ეკონომიკა

pulit, sir

„ვერაფერს დაუმტკიცებენ“ - 14 თებერვალს, ჩემმა მეგობარმა სტატია გააკეთა „ვანო მერაბიშვილის დედამ სკოლის მოსწავლეები და დამლაგებელი სცემა“. <http://sknews.ge/index.php?newsid=1109#.US...>  
3 months ago

უკან, სამშობლოში "ტოლერანტის" ანგარიში - 11 months ago

დარაბებს მიღმა ვიდრე წერის დრო დამიბრუნდება - ვერასდროს ვიფიქრებდი რომ ოდესმე, ჩემთვის ყველაზე დეპრესიულ ზამთრის პერიოდში, მუდამ მხოლოდ დათვობას და სიტბოში მიღზე რომ ვოცნებობდი, ასეთი აქტიური ვიქნებოდი...  
1 year ago

There was an error in this gadget

ყველაზე კითხვადი

ნინოწმინდა გლობალურ ქსელში

მასობრივი სკრინინგი - საუკეთესო პრევენცია

ახალქალაქში ქათმები იხოცება

ოპტიმისტი მინისტრი და იმედაგრუებული